ინტერპარტიული ანგარიში



# ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები და მათი გადაჭრის გზები


Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# წინასიტყვაობა



წინამდებარე ინტერპარტიული ანგარიში **„ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები და მათი გადაჭრის გზები“** დამუშავდა ექვსი პარტიის ახალგაზრდა წევრების მიერ ერთობლივი მოკვლევის საფუძველზე. მოკვლევათა სერია განხორციელდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ინტერპარტიული საბჭოს ფარგლებში, რომლის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო **საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (GIP) შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს** მხარდაჭერით. საბჭოს ფარგლებში შექმნილ ინტერპარტიულ თემატურ ჯგუფში გაერთიანდა ქალთა მიმართ ძალადობის და მასთან ბრძოლის საკითხებით დაინტერესებული ექვსი პოლიტიკოსი სხვადასხვა პარტიებიდან.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა დაგეგმეს და განახორციელეს მოკვლევითი სამუშაოები ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა საზოგადოების და მსხვერპლ ქალთა ცნობიერება, დანაშაულის პრევენცია, იდენტიფიცირება, სასჯელის მინიჭება და აღსრულება, ასევე, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მედიის, როგორც ძლიერი გავლენისმომხდენი აქტორების როლი ამ პრობლემასთან ბრძოლის პროცესში. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს სამაგიდე კვლევა, ექსპერტული ინტერვიუები და საველე გასვლა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რის შედეგადაც, გამოიკვეთა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე ძირითადი გამოწვევები. თითოეულ გამოწვევას ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა უპასუხეს გარკვეული ხედვით, თუ რა გადაჭრის გზები შეიძლება იყოს გამოყენებული თითოეულ გამოწვევაზე საპასუხოდ.


**ავტორები:**

- ***ათათია გიორგი,*** ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
- ***გამგებელი ზურა,*** გახარია საქართველოსთვის;
- ***კობახიძე თორნიკე,*** ევროპული საქართველო;
- ***მაჩაიძე თათია,*** საქართველოს კონსერვატიული პარტია;
- ***მიქაძე ნინი,*** საქართველოს ლეიბორისტული პარტია;
- ***მჭედლიშვილი მარი***, სტრატეგია აღმაშენებელი.

# შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რაც საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს არ აძლევს წვდომას საკუთარ ფუნდამენტურ უფლებებზე, ხელს უშლის სრულფასოვან პიროვნულ თუ კარიერულ განვითარებაში. უკიდურეს შემთხვევაში, ეს პრობლემა, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლესაც კი.

უკიდურესად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა აქტიური მუშაობა დაიწყონ მსგავს საკითხებზე, არსებულ გამოწვევებზე და გადაჭრის გზებზე. პოლიტიკური პარტიების როგორც პროგრამულ, ასევე სტრატეგიულ დღის წესრიგში ქალთა მიმართ ძალადობა იშვიათადაა წარმოდგენილი (HBF 2020). მოახლოებული 2024 წლის არჩევნებისთვის პარტიულ პროგრამებში, წინასაარჩევნო კამპანიებში და ამომრჩეველთან კომუნიკაციის პროცესში მსგავსი საკითხების შეტანა პოლიტიკურ დისკუსიას ბევრად უფრო საგნობრივ სახეს მისცემს, რაც პარტიებს მეტად დააახლოვებს საკუთარ ამომრჩეველთან, მათ საჭიროებებთან და მოთხოვნებთან.

წარმოდგენილ ინტერპარტიულ მანიფესტში, კვლევის შედეგად, ჯამში შემუშავდა ათი გამოწვევა. თითოეულ მათგანზე რეაგირების მექანიზმები შესაბამისი პასუხისმგებელი ერთეულებისთვის შემუშავებულია კვლევაში მონაწილე 6 სხვადასხვა პარტიის ახალგაზრდა წევრების მიერ. ქალთა მიმართ ძალადობის გარშემო არსებული პრობლემები წარმოდგენილია სამი სხვადასხვა განზომილებით: ცნობიერება და ქალთა გაძლიერება; რეაგირება, აღსრულება და რეაბილიტაცია; ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დღის წესრიგში.

# ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა: გამოწვევები და გადაჭრის გზები

## ცნობიერება და ქალთა გაძლიერება

### გამოწვევა 1: ფართო საზოგადოების ცნობიერება

ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით - მისი თავიდან აცილებისთვის და მასზე ეფექტიანი რეაგირებისთვის, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტია საზოგადოების იმ სეგმენტების სწრაფი და სტერეოტიპებისგან დაცლილი რეაგირება, რომლებიც არაპირდაპირ შემხებლობაში არიან ძალადობის შემთხვევებთან (არიან მოწმე, მსხვერპლთან და მოძალადესთან რაიმე ფორმით კავშირში მყოფი პირები და ა.შ.). ხშირად, სამეზობლო ან ახლობელი წრეები თავს იკავებენ კონფლიქტის საწყის ეტაპზე ჩარევისგან, რაც შესაძლოა ფატალურად დასრულდეს. საზოგადოების ინერტულობისა და ინდიფერენტულობის მიზეზები, როგორც წესი, დაფუძნებულია სტერეოტიპებზე და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესახებ ძირითადი ცოდნის არარსებობაზე. მნიშვნელოვანია, რომ განცდა, რომ სხვაზე ძალადობა „ჩემი საქმე არ არის", შეიცვალოს კულტურულ და ცნობიერების დონეზე. მოძალადე მამაკაცის ნებისმიერი მოტივაცია დემონიზდეს საზოგადოებრივ დონეზე, რაც ერთი მხრივ, ძალადობის პრევენციისთვის, მეორე მხრივ, ძალადობაზე სწრაფი რეაგირებისთვის შესაბამის გარემოს შექმნის. სასურველია, სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, ასევე, პარტიებმა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით ორგანიზება გაუწიონ სხვადასხვა მოხალისეობრივი ჯგუფების ორგანიზებას და შემდეგი სტრატეგიები დაგეგმონ:

**რეაგირება:**

- *ნდობაზე დაფუძნებული საინფორმაციო კამპანიის წარმოება სამეზობლო კომუნებში;*
- *საინფორმაციო კამპანიის წარმოება ძალადობის მსხვერპლი ქალების ოჯახებთან;*
- *საინფორმაციო კამპანიის წარმოება სკოლებში; ტრენინგების ან არაფორმალური საზაფხულო სკოლების თუ სხვა საგნებში ინტეგრირების ინიციატივის სახით;*
- *ამგვარ კამპანიებში ტრენდული ჯგუფების - ინფლუენსერების, სპორტსმენების, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეების ჩართვა.*

### გამოწვევა 2: ძალადობის პოტენციური ან მსხვერპლი ქალების ცნობიერება

როდესაც საუბარია ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებლის შემცირებაზე, პრევენციაზე ან პოსტ ფაქტუმ რეაგირებაზე, მნიშვნელოვანია, რომ თავად ძალადობის მსხვერპლი ან პოტენციური მხვერპლი ქალების ცნობიერებაც შესაბამისი იყოს. ხშირად, ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის დამატებითი პრობლემის სახით ჩნდება მსხვერპლი ქალების ინერტულობა, შიში ან სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორები, მიმართონ შესაბამის ძალოვან უწყებებს, გამოიძახონ პოლიცია ან აწარმოონ შემდგომი საქმე მოძალადე მეუღლის ან პარტნიორის, ან სხვა სტატუსის მამაკაცის წინააღმდეგ. ეს პრობლემა განსაკუთრებით მძიმეა, როცა საქმე ეხება მოძალადე ოჯახის წევრს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების თუ პოლიტიკური ჯგუფების სხვადასხვა წარმომადგენლებმა თავისი წვლილი შეიტანონ ამ პრობლემის განეიტრალებაში შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:

***რეაგირება:***

- *შეისწავლონ ინდივიდუალური შემთხვევა, იმ მიზეზთა მაქსიმალურად სრული ჩამონათვალი, რომელიც აბრკოლებს მსხვერპლ ქალებს, მიმართონ ძალოვან უწყებებს;*
- *შეიმუშავონ თითოეული ამ გამოწვევის მიმართ პოტენციური საპასუხო მექანიზმები, სტრატეგიები (როგორ შეიძლება და ვის მიერ რეაგირება თითოეული გამოწვევის შემთხვევაში);*
- *გააცნონ ძალადობის მსხვერპლ ქალებს წარმატებული მაგალითები;*
- *აწარმოონ ინდივიდუალური თუ თანამშრომლობითი ფანდრაიზინგი ძალადობის მსხვერპლი ქალების დასახმარებლად, რათა ქალებისთვის ეკონომიკური პრობლემები არ იყოს დამატებითი დამაბრკოლებელი ფაქტორი საქმის წარმოებისას;*
- *აქტიური და ნდობაზე დაფუძნებული დისკუსია და ვერბალური კამპანია დაგეგმონ იმ შემთხვევისთვის, თუ მსხვერპლი ქალისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს გარშემო საზოგადოების მხრიდან დემონიზება, როგორც საფრთხე.*

***გამოწვევა 3: მოძალადე მამაკაცების ცნობიერება***

ოპტიმალურია, ვიკითხოთ, ვინ არიან კაცები, რომლებიც ქალებზე ძალადობენ? ადამიანებს აქვთ ბიოლოგიურად დეტერმინირებული ინდივიდუალური თვისებები, მაგრამ არსებობს სოციალური კონტექსტი. გენეტიკა წყვეტს იმას, თუ რა შეგიძლია, რომ გააკეთო და არა იმას, თუ რა უნდა გააკეთო. მარტივია, თუმცა არაშედეგობრივი ის მიდგომა, რომ ისინი უბრალოდ ძალადობისკენ მიდრეკილი ან/და სოციოპათები არიან, თუმცა რიგ შემთხვევებში ასეც არის ხოლმე. მოძალადეები, როგორც წესი, ნორმატიული ადამიანებად მიიჩნევიან და მათი ქცევა და იდენტობა კულტურის მიერ აღიარებულ ნორმად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ ქალზე ძალადობა ხშირად არა სპონტანურობის, არამედ იმ კულტურული და სოციალური ცნობიერების შედეგია, რომლებშიც მოძალადე ყალიბდება, ამ საკითხებში კი კოლექტიურ ცნობიერს დიდი როლი ეკისრება. როგორ შეიძლება სოციალური ცვლილების მიღწევა? ამისთვის ორი ძირითადი საშუალებაა ცნობილი:

***რეაგირება:***

- *შესაბამისი კანონისა და რეგულაციის რეალური ამოქმედება;*
- *მოძალადე მამაკაცების პერიოდული მონიტორინგი შესაბამისი უწყებების მიერ;*
- *მოძალადე მამაკაცებთან ფსიქოლოგის მუშაობის პროგრამა;*
- *ახალი კოლექტიური ცნობიერების შექმნა მეინსტრიმული მედიის, ონლაინ მედიის და სხვა ეფექტური პლატფორმების გამოყენების საშუალებით.*

### *გამოწვევა 4: პრობლემის სიმწვავე რეგიონებში (მათ შორის, მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე)*

სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, ზემოთ აღწერილი გამოწვევები ყველაზე მეტად აქტუალურია რეგიონებში რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, რეგიონებში მეტადაა გავრცელებული სტერეოტიპული მიდგომები იმის შესახებ, რომ ქალის როლი დაქვემდებარებულია და მამაკაცის წამყვანი, რომ ქალი უნდა იყოს მორჩილი და მას ჰქონდეს კონკრეტული საოჯახო საქმით შემოფარგლული ფუნქცია. მეორე, რეგიონებში ნაკლებია ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, სხვადასხვა მასალებზე, ტრენინგებზე, ცოდნებზე, რაც ამ მიმართულებით შეიძლება არსებობდეს. მესამე, რეგიონებში ბევრად უფრო მეტადაა განვითარებული ოჯახური, თემზე დაფუძნებული ურთიერთობები, შესაბამისად, საზოგადოების - სამეზობლო თუ სანათესაო კომუნების წნეხი აქ ბევრად მეტია ქალზე. ასეთი გამოწვევები შეიძლება კიდევ უფრო მძაფრდებოდეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში, რადგან კულტურული თუ ინფორმაციაზე და ცნობიერებაზე მისაწვდომობის საკითხები ასეთ რეგიონებში უფრო მწვავედ დგას.

**_რეაგირება:_**

- *პარტიების რეგიონულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რეგიონებში ქალთა უფლებრივ თუ სოციალურ მდგომარეობას, აგრძნობინონ ადგილზე ქალებს, რომ ისინი მარტო არ არიან;*
- *საინფორმაციო და ცნობიერების კამპანიებისკენ სწორედ ასეთ მოწყვლად რეგიონებში გახდეს პრიორიტეტი სადონორო ფონდების და გრანტების დახმარება;*
- *ადგილებზე მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას - იმ შრომისგან, რომელსაც ისინი ისედაც ყოველდღიურად ეწევიან, მიიღონ შემოსავალი - სხვადასხვა გრანტებით აქციონ საკუთარი საქმე შემოსავლიანად.*

**გამოწვევა 5: პოლიციის და სასამართლოს არასრულფასოვანი და არასამართლიანი რეაგირება**

ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ასევე ძალადობის შემსწრე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოება ადეკვატური რეაგირებისთვის არის ის, რომ მათ არ აქვთ იმედი, რომ პოლიცია და სასამართლო ჯეროვან რეაგირებას მოახდენს ძალადობის შემთხვევებზე. მართლმსაჯულება ვერ ახერხებს ქალების დაცვას ძალადობის შემთხვევებამდე და შემდეგ. ამიტომ, ისინი დაუცველად გრძნობენ თავს მოძალადის და მისი თანამოაზრეების წინაშე და არ მიმართავენ შესაბამის ორგანოებს ძალადობაზე რეაგირებისთვის თუ მოძალადის წინააღმდეგ შესაბამისი სასჯელაღსრულების მექანიზმების განხორციელებისთვის. შესაბამისად, პირველ რიგში, პოლიციის და სასამართლოს შესაბამისი სიძლიერე, განსაკუთრებით კი, რეგიონებში მათი სტერეოტიპებისგან თუ ადგილობრივი სოციალური კავშირებისგან დაცლა არის ის სისტემური და ფუნდამენტური ნაბიჯი, რამაც უნდა წაახალისოს მსხვერპლთა და შემსწრეთა აქტიური მონაწილეობა დანაშაულის აღკვეთის და დამნაშავის დასჯის პროცესში.

***რეაგირება:***

- *მოხდეს პოლიციის თანამშრომლების აქტიური გადამზადება მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რომ მათ სწორად შეძლონ მსხვერპლთან ურთიერთობა ნდობაზე დაფუძნებული ზომების მიღების სახით;*
- *პოლიციის თანამშრომლებს ჰქონდეთ პერიოდული უშუალო ურთიერთობა კომუნებში, რათა მათ წინასწარი ნდობა მოიპოვონ მოსახლეობაში და შემსწრეთა თუ მსხვერპლთა კომუნიკაცია მათთან უფრო ეფექტიანი და შედეგიანი გახდეს;*
- *დაინერგოს პოლიციელების სხვადასხვა რეგიონში მოქმედების პრაქტიკა, რომელიც თავიდან აარიდებს მსხვერპლს მიკერძოებულ პოლიციელთან ურთიერთობას და უფრო მეტ სანდოობას შეუქმნის მას პოლიციელთან ურთიერთობის პროცესში;*
- *განხორციელდეს ზომები იმისთვის, რათა სასამართლომ სამართლიანობის პრინციპით იმუშაოს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე; ეს საქმეები განსაკუთრებით სენსიტიურ საქმეებად განიხილებოდეს.*

**გამოწვევა 6: ქალთა მოწყვლადობა - ეკონომიკური, სტერეოტიპული და მენტალური**

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და ძალადობის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური გამოწვევაა ქალების, განსაკუთრებით, რეგიონებში მცხოვრები ქალების მრავალმხრივი მოწყვლადობა და დაუცველობა. ქალები არიან ეკონომიკურად მეტისმეტად დამოკიდებული საკუთარ ოჯახის წევრებზე, შესაბამისად, მათთვის რთულია საკმარისი დამოუკიდებლობის მოპოვება, რათა ძალადობაზე გაბედული რეაგირება ჰქონდეთ და ძალადობის შემდეგ სრულფასოვნად გააგრძელონ ცხოვრება. ამასთან, ქალების შრომის მიმართ არსებული სტერეოტიპები, განსაკუთრებით, შინ შრომასთან დაკავშირებით, წარმოშობს კულტურულ აღქმას საზოგადოებაში, რომ ქალი უნდა იყოს მორჩილი. ხშირად, ეს სტერეოტიპი თავად ქალებს შორისაც არსებობს, რაც მათ ორმაგად დამოკიდებულს ხდის ოჯახის მამაკაც წევრებზე - მეუღლეებზე, ძმებზე თუ მამებზე. შესაბამისად, მენტალურადაც რთული ხდება ქალების მხრიდან ადეკვატური რეაგირება მათ წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობაზე, და შემდეგ მათი წარმატებული რეაბილიტაცია.

**რეკომენდაცია:**

- თითოეულმა მუნიციპალიტეტმა განსაკუთრებით იზრუნოს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, და არა მხოლოდ გაძლიერებაზე, არამედ მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე;
- შეიმუშავდეს სახელმწიფო პროგრამები ძალადობის შემდგომი ეკონომიკური მედეგობისთვის ძალადობის მსხვერპლი ქალების გასაძლიერებლად;
- მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე წარმოებებს, რომლებიც აქტიურობენ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული წახალისება მიენიჭოთ;
- წარიმართოს აქტიური კამპანია თავად ქალებში მენტალური მდგრადობის და მედეგობის გასაძლიერებლად;
- განვითარდეს სახელმწიფო პროგრამები ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ფსიქოლოგიური თერაპიის მიმართულებით;
- განვითარდეს პროგრამები ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიმართულებით - მათი შემდგომი დასაქმების თუ სოციალური ურთიერთობების კუთხით.

## ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დღის წესრიგში

### გამოწვევა 7: პოლიტიკური პარტიების პოლარიზებული დღის წესრიგი

პოლარიზაცია ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი პრობლემაა ქართულ პოლიტიკაში. პარტიებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, პოლარიზაციის განსაკუთრებულად დამაზიანებელი, აგრესიული და რადიკალიზებული გარემოს პირობებში საფუძვლიანად იმუშაონ და წინ წამოსწიონ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სხვადასხვა პოლიტიკა. ამიტომ, პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები, თუ რეგულარული რიტორიკა, როგორც წესი, გვერდს უვლის ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც პრობლემას. პარტიებში აღარ რჩება იმის რესურსი, რომ წევრებმა მოიკვლიონ საკითხი, მოიკვლიონ წარმატებული საერთაშორისო გამოცდილებები, შექმნან საკუთარი ხედვა ამ პრობლემის გადაჭრისთვის და შესთავაზონ ის საზოგადოებას.

**რეკომენდაცია:**

- პოლარიზებული გარემოს მიუხედავად, პოლიტიკურმა პარტიებმა პრიორიტეტად აქციონ საკითხებზე დაფუძნებული რიტორიკა, მათ შორის, ერთ-ერთი პრიორიტეტი იყოს გენდერული ნიშნით ძალადობა;
- პარტიებმა გამოიყენონ ყველა რესურსი (მათ შორის, სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროექტები) საკუთარი კომპეტენციის გასაზრდელად ამ საკითხებთან მიმართებით;
- პარტიებმა შექმნან განცალკევებული დოკუმენტები, სადაც ასახული იქნება ქალთა მიმართ ძალადობის მოგვარების მათეული ხედვა;
- პარტიების წევრებმა მაქსიმალურად ეცადონ საკუთარი მედია-ცნობადობა გამოიყენონ ამ საკითხების ადვოკატირებისთვის საზოგადოებაში;

- *პარტიების წევრებმა ოფიციალური შეთავაზებები გააკეთონ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტებისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის თაობაზე;*
- *პარტიებმა გამოიწვიონ კონკურენტი პარტიები საკითხზე სასაუბროდ და თავად შექმნან ერთობლივი, დებატზე დაფუძნებული ინტერპარტიული დღის წესრიგი მედიაში მსგავს საკითხებზე სასაუბროდ;*
- *პარტიების ახალგაზრდულმა ფრთებმა წინ წამოწიონ ეს საკითხები სხვადასხვა ფორმატების დისკუსიებში;*

### გამოწვევა 8: მედიის პოლარიზებული დღის წესრიგი

ქართული მედია, როგორც წესი, პოლიტიკურად მოტივირებულია და ორიენტირებულია პარტიებს შორის პოლარიზებულ დაპირისპირებაზე, მის გაშუქებაზსა და ხშირ შემთხვევაში, წახალისებაზეც. ხშირად თავადაც ქმნის პოლარიზებულ ნარატივებს და ხელს უწყობს ვიწროპარტიული ინტერესების მიხედვით დებატების შექმნას. ამ ფონზე, მედიის ფოკუსს მიღმა რჩება სიღრმისეული და პროფესიონალური საუბრები ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა. როგორც წესი, მსგავსი საკითხები მხოლოდ ახალი ამბების ფორმატში შუქდება. თუმცა, პრობლემის არსის, მოგვარების, პარტიების სხვადასხვა ხედვების განსახილველად პლატფორმის შექმნა აღარ ხდება.

### რეაგირება:

- *მედიასაშუალებებმა დაგეგმონ მინიმუმ ერთი ფორმატი, რომელიც საშუალებას მისცემს მსმენელს, მოისმინოს დებატი პროფესიონალთა შორის ქალთა მიმართ ძალადობის, თუ სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;*
- *უკვე არსებულ გადაცემებში პერიოდულად დაინტეგრირონ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დისკუსიები ან საგანმანათლებლო მასალები;*
- *სხვადასხვა მედიაგადაცემებში მოწვეულ პოლიტიკოსებს ჟურნალისტებმა შესთავაზონ ქალთა ძალადობის შესახებ საკითხები განსახილველად;*
- *მედიამ პროაქტიული კამპანია აწარმოოს მაყურებლის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ქალთა მიმართ ძალადობის და მასთან ბრძოლის მექანიზმების შესახებ;*
- *საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისროს შესაბამის თემატიკაზე მედია პროდუქტების რეგულარულად მომზადება.*

### დასკვნა

საბოლოო ჯამში, ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით გამოკვეთილი რვა ძირითადი გამოწვევის საპასუხო რეკომენდაციები შემუშავდა ინტერპარტიული საბჭოს ფარგლებში შვიდი სხვადასხვა პარტიის ახალგაზრდა წარმომადგენლების მიერ. კვლევა დაეფუძნა სამაგიდე და საველე სამუშაოებს, რომლის საფუძველზეც, გამოიკვეთა გამოწვევების სამი ძირითადი კატეგორია: ცნობიერება და გაძლიერება; რეაგირება და რეაბილიტაცია; პოლიტიკური და საზოგადოებრივი დღის წესრიგი. ამ მიმართულებებით რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი მიემართება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების - სახელმწიფო ინსტიტუტების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური აქტორების - მიერ სხვადასხვა საინფორმაციო, პრაქტიკული და პრევენციული მექანიზმების დანერგვასა და გააქტიურებას.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

საქართველო, თბილისი 0107
ალექსანდრე პუშკინის ქ. 13
+995 599 99 02 12
info@gip.ge www.gip.ge